



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მუშათა და ზღვითა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოსცემა

1938 წ. აპრილის 1

№ 9

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

36. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

37. ეზოს მუშათა შესახებ.

38. „ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 21 მუხლის „ზ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

343

36. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ. (იხ. დანართი).

2. გაუქმდეს:

ა) კარი 11 (საქართველოს სსრ სატყეო კოდექსის 5-12 მუხლები, საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 24);

ბ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება „ადგი-

344  
345



ლობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობის სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 71);

311. გ) დებულება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 12, მუხ. 176; 1928 წ. № 3, მუხ. 26; საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 2);

311. დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 10 მარტის დადგენილება „საერთო საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეების ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 7, მუხ. 72);

II ე) მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აკსფს რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების ძირითადი საფუძვლებისა, რომლებიც დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 17 მარტის დადგენილებით (აკსფსრ კან. კრ. 1933 წლის № 11—12, მუხ. 83).

311. ზ. მუხლი 49 საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების დებულებისა, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 13 მარტის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 9, მუხ. 66) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„49. სატყეო მეურნეობის დარგში სასოფლო საბჭო:

ა) არკვევს, თუ რა რაოდენობის მერქანი და თანამდე სარგებლობის პროდუქტები ესაჭიროებათ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ ხე-ტყის ყველა კატეგორიის მომხმარებლებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში და ანაწილებს მათ შორის მერქანსა და თანამდე სარგებლობებს ამ ტყეებში, რომლებსაც სასოფლო საბჭოს გამოუყოფს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი;

ბ) თვალყურს ადევნებს იმას, რომ ხე-ტყის მომხმარებლებმა პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოიყენონ მათთვის მიცემული მერქანი;

გ) თვალყურს ადევნებს ადგილობრივი მნიშვნელობის იმ ტყეების დაცვას და რაციონალურ ექსპლოატაციას, რომლებიც მდებარეობენ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, აგრეთვე დახმარებას უწევს რაისატყეო მეურნეობებს სამეურნეო საწარმოო გეგმების შესრულებაში“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. ვ. ბუჯიაშვილი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

### კ ა რ ი I.

#### ძირითადი დებულებანი.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებად ითვლება მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში არსებული ტყის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობენ შრომითი სარგებლობის მიწებს შორის ან შეკრიბილი არიან ამ უკანასკნელებში და რომელთა დანიშნულებას, ძირითადად, წარმოადგენს რაიონულ და სასოფლო ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და ცალკეულ მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მერქანსა და თანამდე სატყეო სარგებლობის პროდუქტებზე.

**შენიშვნა:** სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ტყეები ან ისეთი ტყეები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ძვირფასი ჯიშების მთელი მასივები, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში არ შეიტანებიან. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში არ შეიტანებიან აგრეთვე: ტყის ნაკვეთები, რომლებიც იმაგრებენ ფხვიერ-სილიან ნიადაგს ან ხელს უშლიან მის გავრცელებას, იცავენ მდინარეებისა და წყლის წყაროების ნაპირებს ჩამონგრევისა და ჩამორეცხვისაგან, აჩერებენ მიწის ზევის ჩამოწოლას, კლდეების ჩამონგრევას და ხელს უშლიან ნიადაგის წალეკვას, თოვლის ზეავეების და ჩქარი ნიაღვრების შექმნას და რომლებსაც აქვთ თოვლშემკრები და თოვლსაცავი ზოლების მნიშვნელობა.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებიც მდებარეობენ კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტით უვადო სარგებლობაში მიმაგრებული მიწების ფარგლებში, იმყოფებიან კოლმეურნეობათა უშუალო განკარგულებაში. ადგილობრივი მნიშვნელობის ის ტყეები კი, რომლებიც მდებარეობენ საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი მიწების ფარგლებში, შეიძლება გადაეცეს ამ საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში იმ პირობებით, რასაც დააწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამ დებულების საფუძველზე.

**შენიშვნა:** საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები გადაეცემა ამ საბჭოთა მეურნეობებს მუდმივ და უფასო სარგებლობაში იმ საფუძველზე, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 დეკემბრის დად-

გენილებით „საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უფასო სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ (სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 4).

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მეურნეობას უძღვებიან რაიონული სატყეო მეურნეობანი, რომლებიც იქმნებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, ამ ტყეების მოწყობის საფუძველზე შედგენილ გეგმების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო მოწყობამდე—იმ წესების მიხედვით, რომლებსაც გამოსცემს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

სატყეო მეურნეობის გაძლოა ადგილობრივი მნიშვნელობის იმ ტყეებში, რომლებსაც დაცვითი ხასიათი აქვთ, სწარმოებს თანახმად განსაკუთრებული წესებისა, რომლებსაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატი საბჭო.

სატყეო მეურნეობის გაძლოას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში გეგმავს და აწესრიგებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის არასწორად გაძლოისათვის თანამდებობის პირები პასუხს აგებენ დისციპლინარული ან სისხლის სამართლის წესით.

5. სატყეო წესების დარღვევა, რაც ჩადენილია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის ან აღმინისტრაციული წესით, თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85-87 მუხლებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სავალდებულო დადგენილებებისა.

6. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები შეიძლება ჩამოერთვას ტყის მოსარგებლეებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სატყეო მეურნეობის წესების სისტემატური, სასამართლოს განაჩენით დადასტურებული, დარღვევანი ტყის მოსარგებლეთა მიერ მათთვის გადაცემულ სატყეო მეურნეობებში;

ბ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საჭიროებანი;

გ) მიწათმოწყობა.

ტყეები ჩამოერთმევათ:

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში—საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატი საბჭოს დადგენილებებით;

„გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში—მიწათმოწყობისათვის დადგენილი წესით.

7. შუამდგომლობებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფილი ნაკვეთების სახელმწიფო სატყეო ფონდში გადაცემის შესახებ გადასწყვეტს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ მრეწველობის სახალხო კომისარიატის წარდგენით.

**შენიშვნა 1.** კოლმეურნობათა მიწებზე მდებარე სატყეო ფართობების გადაცემა სახელმწიფო სატყეო ფონდში, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში, შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაცემა მოხდა 1935 წლის 17 თებერვლამდე, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დამტკიცებამდე (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 11, მუხ. 82) რომლის მიხედვითაც მთელი მიწა, რომელიც კოლმეურნობას უჭირავს, ემაგრება მას სამუდამოდ.

**შენიშვნა 2.** კოლმეურნობათა სატყეო ფართობები, რომლებიც გადაცემულია სახელმწიფო სატყეო ფონდში, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდში 1935 წლის 17 თებერვლის შემდეგ, უნდა დაუბრუნდეს კოლმეურნობებს და მიემაგროს მათ სამუდამოდ იმ მიწასთან ერთად, რომლებზედაც ისინი მდებარეობენ.

## პ ა რ ი II.

### ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მმართველობის ორგანოების გამგებლობის საგანი.

8. რაიონულ სატყეო მეურნეობებს ეკისრებათ:

- ა) ტყეების დაცვის ორგანიზაცია;
- ბ) ტყის დარაჯების დანიშვნა;
- გ) ბრძოლა ტყის ხანძრებთან;
- დ) ტყეების მოწყობა და მათში ტყესაკაფების გამოყოფა;
- ე) მერქნის წლიური ნამატის მეურნეობრივი და რაციონალური ექსპლოატაცია;
- ვ) სატყეო და სატყეო-კულტურულ სამუშაოთა ორგანიზაცია;
- ზ) მერქნის განაწილება წლიური ტყესაკაფის ფარგლებში და ამ მერქნის გაცემა, აგრეთვე თანამდე სარგებლობათა განაწილება, რომლებიც სწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების (მუხ. 9) და სასოფლო საბჭოების (მუხ. 10) გადაწყვეტილებათა შესაბამისად;
- თ) ფულადი თანხების მიღება და მათი ანგარიშების წარმოება, აგრეთვე ხარჯების გაწევა სატყეო მეურნეობის საჭიროებებისათვის;
- ი) საწარმოო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა;
- კ) სატყეო მეურნეობის ანგარიშების წარდგენა დადგენილი წესით.

**შენიშვნა.** რაიონული სატყეო მეურნეობანი მოქმედებენ იმ დეპუტატების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების

რაიონული საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები ური დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, და თავის საქმიანობას ანხორციელებენ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო გეგმების საფუძველზე. რაიონული სატყეო მეურნეობის დებულებაში განისაზღვრება სატყეო ნაკვეთების საზღვრება და რაისატყეო მეურნეობის ქონების შემადგენლობა.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მიმართ ეკისრებათ:

- ა) სატყეო მეურნეობის გაძლოლის ხელმძღვანელობა რაიონის ფარგლებში;
- ბ) ტყეების აღრიცხვის წარმოება რაიონის ფარგლებში;
- გ) მოსპობისა, გაფუჭებისა და წანახედიისაგან ტყეების დაცვის, აგრეთვე ტყეების სარგებლობის წესის რეგულირება;

**შენიშვნა:** ამ მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ენიჭებათ სათანადო სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება.

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან მოსაქრელად დანიშნული ტყე-საკაფის ფონდის და ტყეებში თანამდე სარგებლობათა განაწილება კოლმეურნეობებსა, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებსა, რაიონულ და ზემდგომ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის;

ე) სასოფლო საბჭოების მიერ მერქნისა და თანამდე სარგებლობათა განაწილების თაობაზე შეტანილ საჩივრების გადაჭრა;

ვ) ღვეწის აღძვრა სასამართლოს, აღმინისტრაციული ან დისციპლინარული წესით თანამდებობის პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა წინააღმდეგ სატყეო მეურნეობის არასწორად გაძლოლისა და მათ მიერ სატყეო წესების დარღვევისათვის, აგრეთვე დისციპლინარული გადასახდელის დადება;

ზ) მოხსენებანი რაიონულ კონფერენციებზე სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძებათა შესახებ, აგრეთვე რაიონული კონფერენციების და თათბირების მოწვევა.

10. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მიმართ ეკისრებათ:

ა) მერქნისა და თანამდე სატყეო სარგებლობათა პროდუქტების იმ ოდენობის გამორეგება, რაც ესაჭიროება ყველა კატეგორიის ხე-ტყის მომხმარებლებს, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო-საბჭოს ტერიტორიაზე და თავიანთ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან;

ბ) სასოფლო საბჭოსათვის გამოყოფილი (მე-9 მუხლის პ. „დ“) მერქნის და თანამდე სატყეო სარგებლობათა განაწილება სასოფლო მომხმარებლებს შორის;

გ) მეთვალყურეობის გაწევა იმისათვის, რომ ხე-ტყის მომხმარებლებმა პიდრაპირი დანიშნულებისამებრ გამოიყენონ მათთვის მიცემული მერქანი;

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

დ) მეთაულყოფის გაწევა ადგილობრივი მნიშვნელობის იმ ტყეების დაცვისა და რაციონალური ექსპლოატაციისათვის, რომლებიც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობენ;

ე) ხელის შეწყობა რაისატყეო მეურნეობებისათვის მათ მიერ სამეურნეო-საწარმოო გეგმების შესრულებაში.

11. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მიმართ ეკისრება:

ა) ტყეების მეურნეობის და მათი დაცვის ხელმძღვანელობა და კონტროლი რესპუბლიკის ფარგლებში;

ბ) ტყის მოწყობის ანგარიშებისა და მოუწყობელ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის წესების დამტკიცება;

გ) ინსტრუქციების გამოცემა იმ თანამშრომლების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ ტყეებს;

დ) დენის აღძვრა იმ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით უყიარაობასა, უმომქედობასა და იმ მხრივ ზომების მიუღებლობაში, რომ შესწყდეს სატყეო წესების დარღვევა სატყეო მეურნეობის სწორად გაძღოლის დარგში;

ე) წარდგინება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში იმის შესახებ, რომ სატყეო ნაკვეთები ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან გადაეცეს სახელმწიფო-სატყეო ფონდის შემადგენლობაში და ადგილობრივი მნიშვნელობის სატყეო ფართობების სხვაგვარი სახის სარგებლობის მიწად გადაქცევის შესახებ.

### პარი III.

#### ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მერქნის გამოყენება.

12. მერქანი, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მოიჭრება, მეურნეობის გეგმის ან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, განაწილდება შემდეგნაირად:

ა) ვასაცემი მერქნიდან გადაირიცხება პირველ რიგში განსაზღვრული პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 50%, სასოფლო საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, როგორცაა: სკოლების, ქობ-სამკითხველოების, საავადმყოფოების, სახანძრო ფარდულების, გზების და საგზაო ნაგებობათა, სათესლე ფონდების საცავეების აშენება და რემონტი, სკოლების, ქობ-სამკითხველოების, საავადმყოფოების გათბობა და ა. შ.;

ბ) სოფლის საზოგადოებრივ საჭიროებათა დაქაყოფილების შემდეგ დარჩენილი მერქანი განაწილდება მშრომელი მოსახლეობის სამშენებლო, სათბობი

და სარეწაო საქიროებებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით, პირველ რიგში დაკმაყოფილდება კოლმეურნეობათა საქიროებანი მათი სამეურნეო განსახოგადოებულ ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტისათვის; მეორე რიგში — კოლმეურნეობებში შემაჯალ მეურნეობათა საქიროებანი, აგრეთვე იმ მცირეძალოვან ერთპიროვნულ მეურნეობათა საქიროებანი, რომლებიც სტიქიური უბედურებისაგან (ხანძარი, მიწისძვრა და სხვ.) დაზარალდნენ; მესამე რიგში — იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ დანარჩენ მოქალაქეთა საქიროებანი, რომელთაც მომსახურებას უწყევს ადგილობრივი მნიშვნელობის მოცემული ტყე.

**შენიშვნა:** კოლმეურნეობების მიერ თავიანთი საქიროებისათვის სახელმწიფო აქტით მათზე მიმაგრებულ მიწებზე აღმოცენებულ ტყეებში მოჭრილი მერქანი გადადის ამ კოლმეურნეობათა განკარგულებაში უფასოდ. კოლმეურნეობების მიერ მერქნის მოჭრა სწარმოებს რაისატყეო მეურნეობების თანხმობითა და მათი კონტროლით. იმ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში მოჭრილი მერქანი კი, რომლებიც კოლმეურნეობებს გადაეცა გასაკაფავად, როგორც მიწის ფონდი, გადადის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში. მერქანი და წნელი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან წყალდიდობასთან საბრძოლველად გაიცემა უფასოდ.

13. ზედმეტი მერქანი, უკეთუ ასეთი აღმოჩნდება წლიური ტყესაკაფის განაწილების შემდეგ მე-12 მუხ. წესით, გადადის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც ამ მერქანს მოახმარს ტყის არმქონე რაიონის მოსახლეობის საქიროებებს.

ასეთი გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში, მერქანი გადაეცემა რესპუბლიკურ სახელმწიფო ორგანიზაციებს და სარეწაო კოოპერაციას.

14. ტყის მოჭრა და გამოზიდვა უნებართვით არ დაიშვება.

15. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან გაცემული მერქანი გამოყენებულ უნდა იქნას პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

16. მერქნის გადაყიდვა გამოიწვევს ჯარიმას, რაც დაედება ადმინისტრაციული წესით არაუშეტეს გაყიდული მერქნის სამჯავი ღირებულებისა, გაყიდული მერქნის ჩამორთმევით, თუ ქმედობა არ შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. აღნიშნულ გადასახდელს დაადებენ სასოფლო საბჭოები ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული გადასახდელთა დამდები კომისიები, კუთვნილებისამებრ.

17. მერქანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან გაცემა ფასით იმ ნიხრის მიხედვით, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.



**შენიშვნა:** 1. ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან კაღრის, რიგითი და უფროსთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი (გარდა ხანგრძლივი ვადით შევსულებაში მყოფთა), მერქანი მიეცემა შეღავათიან პირობებში (მუხ. 23 და 25 კოდექსისა მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო ვალდებულთათვის და მათი ოჯახებისათვის შეღავათების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. № 23, მუხ. 753).

**შენიშვნა:** 2. გადასახლებულნი და გადმოსახლების ადგილების კოლმეურნეობანი, რომლებიც სხვა რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან გადმოსახლდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, თავისუფლდებიან მერქნის საჯირო გადასახადისაგან 2 წლით დასახლების დროიდან (მუხ. 8 სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ნოემბრის დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო გადასახლების შეღავათების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 73, მუხ. 352).

18. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, როდესაც ადგილობრივი მნიშვნელობის სატყეო აგარაკებში არ მოიპოება მოსაქრელად გამოსადეგი ნარგავები, შეუძლიათ, მერქნის მარაგის დაგროვების მიზნით, შესწყვიტონ მოჭრა მთლიანად ან განსაზღვრული ვადით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მოჭრა აუცილებელია ტყის მოვლის წესით.

19. საბჭოთა მეურნეობანი, რომლებმაც თავიანთ სარგებლობაში მიიღეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები (მუხ. 2), ზედმეტ მერქანს, რაც მათი საჭიროების გეგმას აღემატება, გადასცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში იმ საფუძველზე, რომელიც დაწესებული იქნება მხარეთა შეთანხმებით.

#### კ ა რ ი IV.

### თანამდგ სარგებლობანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში.

20. რაისატყეო მეურნეობანი, მომქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად, ვალდებული არიან დაუშვან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში თიბვა, პირუტყვის ძოვება ან მიზნისათვის მეურნეობის გეგმით ნებადართულ ფართობებზე, საფუტკრეების მოწყობა, ტყის ხილისა და თესლის შეგროვება, თიხის, სილისა და ქვის მოპოება რაიონულ და სასოფლო ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და ცალკეულ მოქალაქეთა საჭიროებისათვის.

თანამდგ სარგებლობათა წესებს ადგილობრივი მნიშვნელობის იმ ტყეებში, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილი მიწების ფარგლებ-

ში მდებარეობენ, დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო საბჭოთა მეურნეობებთან შეთანხმებით.

21. თანამდე სარგებლობათა ანაზღაურება სწარმოებს იმ ნიხრების მიხედვით, რომლებსაც დამტკიცებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სოკოს, კენკრის და წამლეულ მცენარეთა შეგროვება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში ნებადართულია ცალკეული მოქალაქეებისათვის უსასყიდლოდ, თუ ეს არ ატარებს სამრეწველო ხასიათს.

**შენიშვნა:** თიბვა, პირუტყვის ძოვება, სახნავი მიწების გამოყენება და დროებითი—სასოფლო-სამეურნეო სარგებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში შეუძლიათ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს უფასოდ რაისატყეო მეურნეობათა იმ ნებართვებით, რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებთან (საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 31 დეკემბრის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების იჯარით გაცემის აკრძალვის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში მიწის თანამდე სარგებლობაზე გავრცელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 2).

22. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში ნადირობა და წყალსატევებში თევზის ჭერა, უკეთუ მათ სარეწაო ხასიათი არა აქვთ, სწარმოებს მომქმედი კანონების თანახმად.

23. საერთოდ გავრცელებული წიაღისეულის დამუშავება სამრეწველო მიზნებისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვებით საქართველოს სსრ სამთამადნო კოდექსის 85 და შემდ. მუხლების დაცვით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 8, მუხ. 70).

## კ ა რ ი V.

**სატყეო და სატყეოკულტურული ღონისძიებანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში.**

24. რაისატყეო მეურნეობანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, ატარებენ შემდეგ სატყეო და სატყეოკულტურულ ღონისძიებებს:

ა) საზღვრებისა და სასაზღვრო ნიშნების წესიერად შენახვა;

- ბ) ტყესაკაფების გაწმენდა;
- გ) ხანძრის საწინააღმდეგო ზომების მიღება (ხანძრის საწინააღმდეგო სიბრძნის გაკაფვა, თხრილების გაყვანა, ძირნაყარის აღება და სხვ.);
- დ) თესლის შეგროვება სანერგეების მოწყობა;
- ე) ტყის დათესვა და დარგვა მელოტი და გაუტყვევებელ ადგილებზე;
- ვ) ზომების მიღება ტყეკაფების ბუნებრივი განახლებისათვის;
- ზ) ბრძოლა ტყის მავნებლებთან;
- თ) ზომების მიღება მოზარდი ტყის დასაცავად პირუტყვის მიერ გაფუჭებისაგან;
- ი) დაქოზიანებული ადგილების დაშრობა;
- კ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების წესიერად შენახვა.

### კ ა რ ი VI.

#### ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დაცვა.

25. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დასაცავად და იმისათვის, რომ მეთვალყურეობა გაეწიოს ტყის წესიერად მოქრას, მის გაცემას და თანამდე სარგებლობას, რაისატყეო მეურნეობანი აწყობენ დაცვას ტყის ფასიანი დარაჯების დაჭირავებით.

ტყის მცველთა შტატები დაწესდება ტყის ფართობისა და მისი დაცვის პირობების მიხედვით.

26. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დარაჯები უფლებათა და მოვალეობათა მხრივ გათანაბრებული არიან სახელმწიფო სატყეო ფონდის ტყის მცველებთან, მათ აქვთ იარაღისა და მათთვის მიკუთვნებული ნიშნის ტარების უფლება.

სამსახურში უსწორო მოქმედებისათვის ტყის დარაჯები პასუხს აგებენ როგორც თანამდებობრივი დანაშაულისათვის და დისციპლინარული წესით სადევნო ქმედებისათვის.

### კ ა რ ი VII.

#### ფულადი სახსრები

27. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მთელი შემოსავალი და მათი დაცვის, აგრეთვე ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის ხარჯები მთლიანად გაითვალისწინება მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუჯეტით.

28. ადგილობრივი საფინანსო განყოფილებანი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გაითვალისწინებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან შემდეგი სახის სატყეო შემოსავალს:

ა) იმ მერქნის საფასურს, რომელიც ძირზე გაიცემა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან;

ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში თანამდე სარგებლობის საფასურს;

გ) ფულად თანხებს, რომლებიც გადახდება სატყეო წესების დარღვევისათვის;

დ) სატყეო წესების დარღვევის დროს ჩამორთმეული მერქნის გაყიდვისაგან შემოსულ თანხებს;

ე) საურავსა და ჯარიმას საჯირკო გადასახადის და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში თანამდე სარგებლობის საფასურის განვადებისა ან ვადის გადაცილებისათვის;

ვ) მერქნის იმ ადგილობრივი გადასახადისაგან შემოსულ თანხებს, რაც საჯირკო გადასახდელს დაერიცხება.

29. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლიერების ხარჯების (აპარატის შენახვა, სატყეო-კულტურული, სატყეო-სამეურნეო და სხვ. სამუშაოები) დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით გაღებული სახსრების ანგარიშში.

როდესაც სატყეო მეურნეობანი ხე-ტყის ცალკეულ დამუშავებას აწარმოებენ სამეურნეო წესით, მათი დაფინანსება ბიუჯეტიდან საბრუნავი სახსრების შეგების, კაპიტალდაზღვრებათა და წარმოების ათვისების ნაწილში უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რასაც ვერ ჰფარავენ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ ხე-ტყის დამუშავებათა საკუთარი სახსრები (მოგება, საბრუნავი სახსრების სიჭარბე, საამორტიზაციო ფონდი და სხვ. წყაროები).

**შენიშვნა:** მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ენიჭება დახარჯონ ტყის მოწყობის სამუშაოებზე სატყეო შემოსავლის გეგმის გადამეტებით შესრულებისაგან შემოსული სახსრების 50%.

## პ ა რ ი VIII.

**სატყეო ფართობების სხვაგვარი სახის სარგებლობის მიწად გადაქცევა.**

30. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფართობების გადაქცევა სხვაგვარი სახის სარგებლობის მიწად მოხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის დასკვნით.

31. სატყეო ფართობების სხვაგვარი სახის სარგებლობის მიწად გადაქცევის დროს მათზე აღმოცენებული სატყეო ნარგავები დაინიშნება მოსაპრელად ამ ფართობების სხვა სახის სარგებლობით ათვისების ვადებში. სხვა სახის სარ-



ბებლობის მიწად გადაქცეული ნაკვეთებიდან მერქანს იყენებენ რაისატყეო მებრუნობანი საერთო წესით, სამეურნეო დამუშავების გზით, ან ძირზე ტყის ფასიანი გაცემის გზით.

მშ. სხვა გვარი სახის სარგებლობის მიწად გადაქცეული სატყეო ფართობების თავის დროზე და რაციონალურად გამოყენების კონტროლს (მუხ. 30) ანხორციელებს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფართობები თავის დროზე არ იქნება ათვისებული და რაციონალურად გამოყენებული სოფლის მეურნეობისათვის, ისინი დაბრუნებულ უნდა იქნან ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ფონდის შემადგენლობაში, ამასთან გატყეების ხარჯები უნდა დაეკისროს იმ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც ეს ფართობები იყო გამოყოფილი.

### მშ. ეზოს მუშათა შესახებ.

057.1

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახლმფლობელობათა სანიტარულ-სამეურნეო მომსახურების ორგანიზაციის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის განმტკიცების მიზნით, საქალაქო საბჭოებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესით, უფლება აქვთ შემოიღონ ქალაქებსა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებსა და მუშათა დაბებში ეზოს მუშათა სამსახური.

2. ეზოს მუშებს დაიქირავენ სახლმმართველობანი მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებთან შეთანხმებით და მათ ხელფასი მიეცემათ სახლმფლობელობათა საექსპლოატაციო შემოსავლიდან.

3. სახლმმართველობა მეეზოვეს სამსახურის დროის განმავლობაში უფასოდ აძლევს ბინას ერთერთ სახლში, რომელსაც იგი მომსახურებას უწევს. კომუნალური მომსახურების საფასური მიეკუთვნება სახლმფლობელობის ხარჯზე.

**შენიშვნა 1.** უკეთეს სახლში არ არის ბინა ეზოს მუშისათვის, სახლმმართველობა აუნაზღაურებს მას ბინის ქირას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**შენიშვნა 2.** სამსახურიდან დათხოვნის ან ნებაცოფლობით წასვლის შემთხვევაში ეზოს მუშები ვალდებული არიან გაანთავისუფლონ მათ მუშაობასთან დაკავშირებით მიცემული ბინა ორი კვირის განმავლობაში დღიდან დათხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსახლებული იქნებიან ადმინისტრაციულ წესით.



4. წინადადება ეძლევა საქართველოს სსრ კომუნალურ მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან და საბინაო მეურნეობის მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით, ორი დეკადის ვადაში გამოსცეს ინსტრუქცია ეზოს მუშათა სამსახურის წესის შესახებ.

5. ამ დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაქარგულად ითვლება:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 11 მარტის დადგენილება „ეზოს მუშათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 83);

ბ) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 ივნისის დადგენილება № 205/537 „ეზოს მუშათა შესახებ“.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდიენის მ. ა. ვ. ბუჯიაშვილი.

1938 წ. მარტის 23. № 250/290.

თბილისი.

38. „ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 21 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილების 21 მუხლის პუნქტი „ზ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 6, მუხ. 71) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ზ) მასკარადებისა და საცეკვაო საღამოებისაგან—ბილეთის ფასის 20%“.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ც. ა. კ-ის მდიენის მ. ა. ვ. ბუჯიაშვილი.

1938 წ. მარტის 23. № 251/184.

თბილისი.

ფასი 30 კაპ.

---

**გამომცემელი** საქ. სსრ ს. კ. ს-ის  
საქმ. მმართველობა 1938 წ. № 17. პ/მ. რედაქტორი ი. ზელაზი

ქალაქის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.  
გადაეცა სტამბას 25/III, ხელმოწერილრა დასაბეჭდად 22/IV; ტირაჟი 2.000.

---

მთავლიტის რწმ. № 2021. საქ. სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს სტამბა შეკ. № 320